განმარტებითი ბარათი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-100 მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 27-ე მუხლის მოთხოვნების შესრულება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტი შემუშავებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების მიღებისა და გადასახდელების დაფინანსების უზრუნველყოფისათვის.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობის განსაზღვრა ცალკეული ორგანიზაციების, აგრეთვე შემოსულობებისა და გადასახდელების განსაზღვრა ცალკეული მუხლების მიხედვით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო :

წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 392 000,0 ათას ლარს.

• **შემოსულობების** საპროგნოზო მაჩვენებლები ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

<u>**საშემოსავლო გადასახადის**</u> საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 320 000,0 ათასი ლარით.

2022 წლისთვის რესპუბლიკური ბიუჯეტის **სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 12 500,0 ათასი ლარის ოდენობით:

საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 9 452,0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან,

- <u>პროცენტების</u> საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 000,0 ათასი ლარის ოდენობით;

- <u>დივიდენდების</u> საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 600,0 ათასი ლარის ოდენობით;

- <u>რენტის</u> საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 852,0 ათასი ლარის ოდენობით.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 448,0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან,

- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 448,0 ათასი ლარის ოდენობით.

სანქციებით (ჯარიმები და საურავები) მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 100,0 ათასი ლარის ოდენობით.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 500,0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 59 500,0 ათასი ლარით.

• ფინანსური აქტივების შემცირების კუთხით (2022 წლისათვის არსებული ნაშთის გამოყენება) იგეგმება 44 000,0 ათასი ლარის გამოყენება.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 436 000,0 ათას ლარს.

მხარჯავი დაწესებულელების მიხედვით 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - 5 216,8 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია - 711,8 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა - 3 535,9 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 134 785,3 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 71 000,3 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 28 121,9 ათასი ლარი;

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 19 351,1 ათასი ლარი;

• საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები- 173 276,9 ათასი ლარი.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონის პროექტი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

ბიუჯეტის კანონპროექტი არ ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წარმოდგენილი კანონპროექტი მოწონებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

დ) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.